



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგაძე თენგიზ შალვას ძე



თ. გიორგაძე

გიორგაძე თენგიზ შალვას ძე (1. IV. 1925, თბილისი, - 20. II. 2012, იქვე), მოჭადრაკე, საერთაშორისო არბიტრი (1972), საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი. საქართველო. დამს. ჟურნალისტი (1976), საქართველო. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1981), საქართველო. დამს. მწვრთნელი (2002). ეროვნ. ოსტატი (1994), პედ. მეცნ. კანდიდატი (2004), პროფესორი (2005). დაამთავრა თსუ (1952). თბილისის ჩემპიონი (1953), სსრკ საპატიო მსაჯი (1985), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსაჯი (1994, 1996, 1998), 1948-იდან საქართველო. ჭადრაკის ფედერ. პრეზიდიუმის წევრი (1948-2000), სსრკ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი (1972-75), გაზ. „ლელოს“ ჭადრაკის განყ-ბის გამგე (1950- 84), საჭადრაკო გაზ. „მერანის“

პირველი რედაქტორი (1984-87), ყოველთვიური ჟურნ. „ჭადრაკის სამყაროს“ მთ. რედაქტორი (1997- 2000), საქტელეჭადრაკის ჟურნ. „სამორინეს“ წამყვანი და ავტორი (1968-96), საქართველო. ფიზალბრდისა და სპორტის აკადემიაში ჭადრაკის სპეციალიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1977) და პედაგოგი. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი, მ. შ.: „ქართული ჭადრაკის მათიანე“ (სამტომეული, 1995, 1997, 2000), მონოგრაფიები: „თამაშობს ანდრია დადიანი“ (1972), „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა“ (1985), „ჩვენი ნონა“ (1992), „ჭადრაკის ანბანი“ (1965, 1974, 1983, 1999), 10 წიგნი, მიძღვნილი ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩებისადმი (1963-89) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), საქართველო. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა (1999) და სეოკის პრემიებით.

